ოთხშაბათი, 8 სეკდემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ოთხშაბათი, 8 სეკდემბერი, 1904 წ.

# ივერია

№ 208 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 208

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | „ . . | 9 „ 50 „ |
| 10 | „ . . | 8 „ 75 „ |
| 9 | „ . . | 8 „ — „ |
| 8 | „ . . | 7 „ 25 „ |
| 7 | „ . . | 6 „ 50 „ |
| 6 | „ . . | 6 „ — „ |
| 5 | „ . . | 5 „ 50 „ |
| 4 | „ . . | 4 „ 75 „ |
| 3 | „ . . | 3 „ 50 „ |
| 2 | „ . . | 2 „ 75 „ |
| 1 | „ . . | 1 „ 50 „ |

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 10-ს სეკდემბ.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 2 „ 25 „
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურჩაში:**—პეტრე მაჭავარიანთან.
**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.
**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).
**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.

## ახალი საყმაწვილო ჟურნალი

## „ნაკადული“

სურათებით.

გამოიცემა მცირეწლოვან და მოზრდილ ყრმათათვის თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოამბრამდე.

გამომცემელი ჟურნალისა კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 „ |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 „ |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 „ |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 „ |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“. (40—29). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

ქართულ თეატრის დამხმარებელ

**ამხანაგობის დამაარსებელნი**

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ელიზბარის ძეს დავითიშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

5—უ—5.

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ, თანხმანდ ქალაქის საბჭოს ამ წლის 28 ივნისის დადგენილებისა, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა, დასაფასებელ გარდასახადის მთელი ჯამი ამ მიმდინარე ნახევარ წლისა გადიდებულ იქმნა $^1/_4$%-ით ამ 1905 წლის 1-ლ ივლისიდგან (მთელის წლის ანგარიშზედ $^1/_8$%-ით); ეს დამატებულ იქმნას მიდინარე წლის ოკდომბრის განმავლობაში, ჯარიმის შეურიცხველად. (2—2).

## სააგარაკო ადგილი

ზემო ავჭალაში, მირზოევისეულ ბაღში, იყიდება პატარა ნაჭრებად: 100, 200, 300 საჟნობით. საჟენის ფასი 3 მანეთი. მსურველთ მიჰმართონ შიო დავითიშვილს, «ივერიის» რედაქციაში.

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

კბილის ექიმი

## ალ. სოლოლაშვილი

## გადავიდა

გოლოვინის პროსპექტზედ, მდივანის სახლში, № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე. ავადმყოფებს მიიღებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7-მდე. კვირაობით 9—10 საათამდე. (5—5).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## ქაჯანა

მოთხრობა ნიკ. ლომაურისა.

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქქრაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს—67 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ღოღისმელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ი. ბალარჯიშვილი**—ბავშვებისა, $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელსა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**გ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

**საღამოთი:**

**გრ. ვ. სობოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274

(წ.)

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ზავის მოუხერხებლობა.—იაპონიის ლაშქარი.—წვრილი ცნობები.

საფრანგეთის ზღვათა მინისტრად ნამყოფმა ლანესანმა «მატენში» წერილი დაბეჭდა და ევროპის სახელმწიფოებს იწვევს, შუამდგომლობა მიიღეთ მშვიდობიანობის აღსადგენადო.

მთელ ევროპის საზოგადო აზრი ითხოვს, მეგობრული შუამდგომლობა აღიძრას მეომართა შორის და ჩააგონონ ორივეს, რომ მთელ კაცობრიობისა და თვით იმათ საკეთილდღეოდ საჭიროა მოისპოს ომი, რომელსაც ბოლო არ უჩანს.

ორივე მოპირდაპირეს თამამად შეუძლიან თავი მოიწონოს თავის ჯარისა და ფლოტის სიმტკიცითა და მამაცობით. მთელი კაცობრიობა გაანცვიფრა იმათმა გმირობამ და თავგანწირულობამ. ამ რიგად ორივეს თავმოყვარება დაკმაყოფილებული უნდა იყოს. ამასთანავე არც ერთს მხარეს არ შეუძლიან იმედი იქონიოს, რომ ჯილდოდ იმაზედ მეტს მიიღებს რასმე, რაც წინადვე მოსთხოვეს ერთმანეთს. მაშ რისთვის უნდა გამოიდოს თავი ან რუსეთმა და ან იაპონიამ?

გაზეთ «ინდეპ. ბელგ.»-ს პარიჟელ კორესპონდენტს უბაასნია ზავის შესაებ ერთ წარჩინებულ დიპლომატთან, რომელსაც, სხვათა შორის, უთქვამს:

შუამავლობაზე ლაპარაკი აქ, პარიჟში, აღიძრა. ლონდონის მწერლობამაც ეს აზრი თანაგრძნობით მიიღო. საყურადღებოა, რომ ეს აზრი ხალხის სურვილის გამომხატველია. ხალხი და, იქმნება, მთავრობაც კარგად ჰხედვენ, რომ ეხლანდელ პოლიტიკურ კრიზისს ცუდი შედეგი ექმნება. ამიტომ საზოგადოება ხარბად ეწაფება ყოველ ამბავს, რაც კი მშვიდობიანობის დამყარებას შეეხება. მაგრამ ჯერჯერობით ყოველი ლაპარაკი მხოლოდ ბურთის გაგორებაა, ვითომ ამით სცდილობენ მოპირდაპირეებს კბილი გაუსინჯონ.

ჯერ არ მოახლოვებულა ჟამი, როდესაც ერთ-ერთი სახელმწიფო და თვით საფრანგეთიც კი გაჰბედავს თავის კეთილ განზრახვების განცხადებას მებრძოლთა წინაშე. იაპონიის მხრივ, რასაკვირველია, დაბრკოლება არ იქნება—იმან უკვე დაიმსახურა დარბაისლისა და ძლიერის სახელმწიფოს სახელი და ზავის ჩამოგდება ამ გარემოებაში მისთვის სასურველი და საკეთილო იქმნება. რუსეთის მდგომარეობა კი სულ სხვანაირია. იმისი ეროვნული თავმოყვარეობა შელახულია და მის ადგილს არა სხვა სახელმწიფო არ დათანხმდებოდა ომის მოსპობას, როდესაც ჯერ თვისი ძალა არც კი უცდია.

ეხლა რომ საფრანგეთმა ამისთანა შუამავლობა დაიწყოს თავის მოკავშირე და დამეგობრებულ სახელმწიფოსთან, შუამავლობას პეტერბურგში მტკიცედ უარჰყოფენ და შემდეგ ველარ მოახერხებდა შუამავლობას. მაშინ კი, როდესაც რუსეთი რავდენჯერმე დაამარცხებს მოპირდაპირეს—შუამავლობა უფრო სასურველი იქმნება. იაპონია არც მაშინ იტყვის უარს, თუ რომ სხვა სახნლმწიფოებიც ხმას ამოიღებენ.

კორესპონდენტს სდომებია ათქმევინოს დიპლომატს, რა პირობით შესაძლოა ზავი დაიდოსო, მაგრამ დიპლომატს ამაზედ პირდაპირ არ უპასუხნია. ეს კი უთქვამს, შესაძლოა, იაპონია ხმელეთიდგან არ გააძევონ და კორეაში დამყარების ნება მისცენო. (რ. ს.).

იაპონიას მალად თვისი ლაშქარი სათადარიგო ჯარებითურთ მართლა რომ მანჯურიაში ჰყავდეს გადაყვანილი და ახალის ჯარის მოგროვება და მიშველება აღარ შეეძლოს,—კუროპატკინის სტრა-

ტეგია ნამდვილად გაიმარჯვებდა. რუსის ჯარი თანდათან უკან დაიწევდა და მხოლოდ გამაგრებულ ადგილებში შეებრძოლებოდა მტერს. ამით იაპონელებს მეტი ზიანი მიეცემოდათ, რადგან იმათ უნდა მიჰქონდეთ იერიში ჩასაფრებულ რუსის ჯარზე. რაც უფრო უკან დაიწევს რუსის ჯარი, მით უფრო გაძლიერდება, რადგან რისეთიდგან დღეში 20,000—35,000 მეომარი ემატება. იაპონელები კი თანდათან დასუსტდებოდნენ და შემცირდებოდნენ. ბოლოს რუსებს უფრო მეტი და შესვენებული ჯარი შერჩებოდათ, ვიდრე იაპონელებს, რომლებიც თავის ჯარის დანაკლისის შევსებას ვეღარ მოახერხებენ.

მაგრამ ეს იმედი ტყუილი უნდა იყოს და ცნობები—საბუთს მოკლებული,—ამბობს «ბერლ. ტაგბლატი».

იაპონელებს კიდევ შეუძლიანთ ჯარის კაცების მოგროვება. ყოველ წელიწადს იაპონიაში 55,000 ახალგაზდა მიჰყავთ სამხედრო ბეგარაზე. 46 მილიონიან ერისათვის ეს რიცხვი საგრძნობელი არ არის. საფრანგეთში, მაგალითად, პროცენტობით რომ ვიანგარიშოთ, სამჯერ მეტი ახალგადა მიჰყავთ სამხედრო სამსახურში. იაპონიაში სავარაუდო ჯარი ორ რიგად იყოფა—პირველი და მეორე. ყოველ წელს სავარაუდო ჯარში ჩარიცხულნი იკრიბებიან სავარჯიშოდ. ამ რიგად ისინი ყოველთვის შემზადებულნი არიან და სამუდამო ჯარის კაცებს არ ჩამოუვარდებიან.

პირველი რიგი სავარაუდო ჯარისა წარსულ თებერვალს შეჰკრიბეს და ახალი პოლკები შეადგინეს, რომელთაც იაპონიის იმპერატორმა ივლისსა და აგვისტოში დროშები ჩააბარა. აფიცრების რიცხვი კადეტის კორპუსებიდგან შეავსეს. ამ ახალ ჯარს ბევრი იაპონელი ნებაყოფლობით შეუერთდა. ამ რიგად გაჩნდა საერო გვარდია, რომლიდგანაც სამუდამო ლაშქრის დანაკლისს ადვილად ავსებენ. ამ საერო გვარდიიდგან კარგი ქვევითი ჯარი და საპიორების რაზმები შესდგება, ხოლო არტილერიისა და კავალერიისათვის კი უფრო ხანგრძლივი ვარჯიშობა დასჭირდებათ. (პ. ვ.).

—

მუკდენიდგან იწერებიან, როგორც ეტყობა, გენერალი კუროკი აღმოსავლეთიდგან მოუვლის მუკდენს და უმთავრესი ნაწილი იაპონელებისა დასავლეთისკენ აჰყვება მდინარე ლიაოხეს, რომელზედაც დიდი ნავები თითქმის თელინამდე ადვილად ადიან. იაპონელებმა შეიძინეს ვიდეც ასი ამისთანა გემი. მოსალოდნელია, რომ იაპონელები ბრძოლას მოერიდებიან, ვიდრე თელინს არ წაადგებიან. ეს კი ერთს თვეზე ადრე არ მოხერხდება. (ბ. ვ.).

—

ტოკიოდგან ლონდონის გაზეთებს ატყობინებენ, იაპონიის სამხედრო მინისტრმა აცნობა მარშალ ოიამას, რომ შენგან დაბარებულ 100,000 მეომარს 250 ზარბაზნით ორის კვირის გასვლამდე გამოგიგზავნითო. რუსები თელინს ამაგრებენ, რადგან ჰგონიათ, რომ დიდი ომი იქ მოხდებაო. (რ. ვ.).

—

პორტ-არტურის შესახებ «ლოკალანც»-ს სწერენ: ზარბაზნების განუწყვეტელმა გრიალმა ბევრი დააყრუა და ყურის ავადმყოფობა გააჩინა. თუმცა დიდი სარდაფებია ციხეში, სადაც ხალხი თავს აფარებს, მაგრამ ბოლოს დროს იქაც ისეთი მძორის სუნი ტრიალებს, რომ ვეღარავინა სძლებს. ბევრს ისევ სარდაფებში ერგებიან, ყუმბარამ არ გაგიტანოთო. (რ. ვ.).

—

გაზეთ „ბერლ. ტაგ.“-ს სწერენ პეტერბურგიდგან, აქ ახლახან შეიპყრეს ორი იაპონელი—სარაროტი და მამაცუ, რომლებიც ვაჭრებად მიაჩნდათ და ოფიცრები კი ყოფილან. ქაღალდები იპოვეს, რომლებიც ამტკიცებს, რომ იაპონელები ბალტიის ესკადრის გემების დაზიანებას აპირობდნენ და დროს ურჩევდნენ (ნოვოსტი).

—

ინგლისის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ შორეულ აღმოსავლეთისკენ მიმავალ რუსის სამხედრო გემებს ქვა-ნახშირი არ მისცენ არც ერთს ნავთსადგურში; მაგრამ ამავე დროს მთავრობა ვაჭრებს შეუძლობას არ უკრძალავს, რომ რუსის გემებს ქვა-ნახშირი აძლიონ. ჰამბურგ-ამერიკის სავაჭრო ამხანაგობას პირობა შეუკრავს ინგლისელ ვაჭრებთან, რომ სხვა-და-სხვა ნავთსადგურში ქვა-ნახშირი დაამზადოს და წინადვე დანიშნულ ვადაზე ჩააბაროს. სავაჭრო ამხანაგობას თავისი საკუთარი გემები აქვს და ინგლისის გემებიც დაუქირავებია, რომ ქვა-ნახშირით დატვირთული, რუსის სამხედრო გემებს თან გააყოლოს შორეულ-აღმოსავლეთისკენ (ნოვოსტი).

# ტფილისი

—

ტფ. სათავად-აზნაურო სკოლაში უკვე გამოცხადდა სია ახლად მიღებულ მოწაფეთა. მოსამზადებელ კლასის 1-ლ განყოფილებაში შესასვლელად თხოვნა მისცა 133 მოწაფემ, ხოლო მიღებულ იქმნა 56 ბავშვი, და დაინიშნა 5 კანდიდატად; ამავე კლასის მეორე განყოფილებაში თხოვნა მიართვა 34 კაცმა, ხოლო ეგზამენი დაიჭირა და მიღებულ იქმნა 3; მესამე განყოფილებაში თხოვნა მიართვა 12 ყმაწვილმა. მიიღეს—2. მეოთხეში თხოულობდა—28, მიღებულ იქმნა—5. პროგიმნაზიულ კლასებში თხოულობდა—18, ამათგან მიღებულ იქმნენ: 1-ლ კლასში 3, 2-ში—2, მე-3-ში—1 და მე-6—1. წელს სკოლაში სულ 225 თხოვნა შესულა, ხოლო მიუღიათ 72 ყმაწვილი და 5 კანდიდატი, დანარჩენ 148-ს კი, უადგილობისა გამო, უარი ეთქვა. აი სრული სია: სასწავლებლის მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში მიღებულ იქმნენ: 1) ანანიაშვილი ევგ., 2) ავალიშვილი ივ., 3) ალექსიძე ალექსი, 4) აზნაუროვი დავით, 5) ალექსი-მესხიშვილი გიორგი, 6) ასლანიშვილი შალვა, 7) ბაქრაძე გიორგი, 8) ბადაშვილი ნიკ., 9) ბადრიძე გიორგი, 10) ბაკურაძე ვახ., 11) გომელაური არჩილ, 12) გამყრელიძე ალ., 13) გედევანიშვილი ვახ., 14) გარსევანიშვილი გიორგი, 15) გედევანიშვილი ირაკლი, 16) დიდებულიძე ესტატე, 17) დევდარიანი ალექსანდრე, 18) ელიოზიშვილი გედეონ, 19) ვაჩნაძე ვიქტორ, 20) ზაალიშვილი გრ., 21) ზაალიშვილი მალხაზ, 22) ზანდუკელი გიორგი, 23) კლიმიაშვილი დავ., 24) კორინთელი არჩილ, 25) კობიაშვილი კონსტანტინე, 26) კორინთელი ნიკ., 27) კობახიძე მიხ., 28) კორინთელი გიორგი, 29) კობიაშვილი კონსტანტინე, 30) მირზაშვილი მიხ., 31) მაღალაშვილი ირაკლი, 32) მაჟიშვილი ალექსანდრე, 33) მღებრიშვილი ივ., 34) მურადაშვილი კონსტ., 35) ნამორაძე დავ., 36) ნაცვლიშვილი ილია, 37) რცხილაძე ნიკ., 38) ორჯონიკიძე გიორგი, 39) საგინაშვილი ალ., 40) სიდამონ ერისთავი შალვა, 41) ტატიშვილი ნიკ., 42) ფარეხიშვილი ირ., 43) ფარეხიშვილი შალვა, 44) ფავლენიშვილი სოლ., 45) ფაფაზაშვილი გრ., 46) ქვლივიძე რომანოზ, 47) შაბურიშვილი ვახ., 48) შაბურიშვილი ზურ., 49) ჩუბინაშვილი დავ., 50) ხმალაძე ყობალი, 51) ცალქალამანიძე დავ., 52) ცალქალამანიძე ილარიონ, 53) ჯავრიშვილი ირაკლი, 54) ჯანდიერი იასონ, 55) ჯაბადარი ალექს. და 56) წერეთელი სპირ. ამავე კლასის პირველ განყოფილების კანდიდატები: 1) გვერდწითელი ალ., 2) გველესიანი შალვა, 3) კანდელაკი ნიკ., 4) ნათიშვილი არჩილ და 5) ავალიშვილი ირაკლი; მოსამზადებელ კლასის მე-2 განყოფილებაში მიღებულნი: 1) ბიბილაური გიორგი, 2) ხირსელიშვილი ნიკ. და 3) კაპანაძე გიორგი; ამავე კლასის მესამე განყოფილებაში მიღებულნი: 1) ცაგარელი გიორგი და 2) გარსევანიშვილი ივანე; იმავე კლასის მე-4 განყოფილებაში მიღებულნი: 1) ჯავახიშვილი დიმიტრი, 2) მეტრეველი ვლად., 3) კახეთელიძე ნიკ., 4) აკოფაშვილი პეტრე და 5) ჯორჯაძე ზაქარია. პირველ პროგიმნაზიულ კლასში მიიღეს: 1) მოსულიშვილი ნიკ., 2) მექანარაშვილი ვიქტ. და 3) აბდუშელიშვილი ადამი; მეორე კლასში: 1) ამილახვარი ნიკოლ. და 2) მაისურაძე არჩილ: მე-3 კლასში—იოსებ ნადირაძე და მე-6-ში—ალექსანდრე ახმეტაშვილი.

*** გუშინ მოხსენებული გვქონდა, სხვათა შორის, რომ ტფილ. სათავად-აზნაურო სასწავლებელში მოსამზადებელ კლასის ქართულ ენის მასწავლებლად მოწვეულ იქმნენ ბ-ნნი გორგაძე და იუსტ. აბულაძეო. ბ-ნნი აბულაძე და გორგაძე მიწვეულ იქმნენ დაბალ კლასებში კი არა, არამედ უფროს კლასებში, სახელდობრ, აბულაძე—მე-8 კლასში, ხოლო გორგაძე მე-4, 5, 6 და მე-7 კლასებში.

*** მოვაგონებთ ყველას, ვისაც საინტერესოდ მიაჩნია მეჩექმე ხელოსანთა მიერ განზრახულ ამხანაგობის დაარსება ტყავეულობის საწყობის გასამართავად ტფილისში, რომ დღეს, 8 სეკდემბერს, დილის 9 საათზედ, დანიშნულია ამხანაგობის დამაარსებელთა კრება სახელოსნო გამგეობის სადგომში, რომელიც იმყოფება ობზისტვენის ქუჩაზედ, მირზოევისეულს სახლში.

*** ტფილისში დაარსდა პალესტინის საზოგადოების განყოფილება. ამ საზოგადოების განყოფილების თავმჯდომარედ იქმნება ექსარხოსი ალექსი.

*** გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია ყარსის რკინის გზის შტო 23 ვერსის მანძილზედ ელექტრონის რკინის გზად გადააკეთოს. ამნაირი რკინის გზა პირველი იქმნება მთელს რუსეთის იმპერიაში. ამ გზის გაყვანის შემდეგ პრაქტიკულად გადაწყდება საგანი კავკასიონის ქედის რუსეთთან შეერთების შესახებ, რაც დიდი ხანია განზრახული აქვთ, მაგრამ ჯერ ვერ განუხორციელებიათ. ყარსის გზის ზემოხსენებული 23 ვერსი სულ მთა-გორაკებზეა გაყვანილი.

*** ბ-ნს ს. ციმაკურიძეს გადაუთარგმნია ბიერნსტონ-ბიერნსონის (შვეციელი მწერალია) ორ-მოქმედებიანი კომედია «ახალ ჯვარ-დაწერილნი».

*** რედაქციას მოუვიდა ახალი წიგნი: «ქართველთ ისრაელნი საქართველოში», ზაქ. ჭიჭინაძისა. წიგნი საკმაოდ სუფთადაა დაბეჭდილი, შეიცავს 103 გვერდს და ჰღირს 30 კაპეიკად. წიგნში მრავალი საყურადღებო სტატისტიკური ცნობებია მოქცეული ებრაელთა მოსახლეობის შესახებ.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. «გრაჟდანინის» იმავე ნომერში, რომლიდანაც ჩვენ ამოვკრიბეთ ზოგიერთი აზრი მეშჩერსკისა გუშინ, დაბეჭდილია მეორე, კიდევ უფრო საინტერესო წერილი.

ავტორი წერილისა ამბობს:

ნუ თუ ახლაც, ამ საშინელს დროს, როცა აურიცხელი ზარალი მოგვდის, როცა დაუჯერებელს სისხლის-ღვრას ვუყურებთ, როცა იღუპება ამოდენა ძალ-ღონე, იჟლიტება ამოდენა ხალხი, ნუ თუ ახლა მაინც არ დავუკვირდებით იმ იარას, რომელმაც ასე საზარლად პირი დააღო, იმიტომ რომ დღემდე ვმალავდით და ვერაგულად ვიძახდით—«ყოველივე კარგად გახლავთო»—все обстоитъ благополучно. ვიძახდით ასე და ის იარები-კი წრწოლივით ჰღრღნიდა ჩვენის ცხოვრების საფუძველს, ჩვენს ეკლესიას და ჩვენის დიდებულის წარსულის ყოველ ძალ-ღონეს? იმ იარებმა ჰღრღნეს, ჰღრღნეს და მიჰღრღნეს სახრჩობამდე, მიჰღრღნეს იმ შავბნელ კაბადონამდე, რომელიც ახლა გმირულად დაღვრილის სისხლით იწერება ჩვენის ისტორიისათვის. ამავე დროს გვქმნით ახალს პირველ-ხარისხოვან ქვეყანას—იაპონიას, რომელიც შარავანდედ-მოსილი ამოდის მაღლა, მართალია, ერთის მხრივ თავის გულადობისა და პატრიოტიზმის წყალობით, მაგრამ მეორეს მხრივ ჩვენის უდარდელობას მეოხებითაც, ჩვენის მუდმივის მოუმზადებლობის წყალობითაც,

# ფელეტონი

—

## მეზობლები.

დრამა ოთხ მოქმედებად.

(შემდეგი *)

## მოქმედება მესამე.

(სცენა იგივე. ფარდის ახდისას ლუარსაბი ზის ხეივანში ფეხი-ფეხ გადადებული, ერთი-ერთ სტახტო ქალაქის გაზეთს ათვალიერებს უყურადღებოდ, რადგან გაზეთისათვის არა სცხელა).

### გამოსვლა პირველი.

(პატარა სიჩუმის შემდეგ გამოდის ილიკო ფრთხილად, აივანზედ დადგება, ჯერ დაღონებული სივრცეს გასჩერებს, მერე ხელსახოცით თვალს მოიწმენდს, დაახველებს, ეზოში ჩამოვა და გაემართება ხეივნისკენ).

**ლუარს.** (გამოერკვევა). Ну?!

**ილიკო.** ვგონებ ჩაეძინა. (პატარა სიჩუმე).

**ლუარს.** მე მაინც ვერ წამომიდგენია შენი და ირაკლის ქიშპობა. რა გაქვთ, კაცო, გასაყოფი და ისიც ძმებს?

**ილიკო.** კაენი და აბელიც ძმები იყვნენ, მაგრამ, ხომ იცი, რაც მოჰხდა...

**ლუარს.** მას შემდეგ, რაც ჩვენ დავშორდით ერთმანერთს, ნუ თუ მუდამ ასეთ ვაი-ვაგლახში იმყოფებოდი?!

**ილიკო.** (თავს დაიქნევს თანხმობის ნიშნად და ისიც მის პირდაპირ ჯდება ფეხი-ფეხ გადადებული და პაპიროზს გააბოლებს).

**ლუარს.** წარმოდგენილი მაქვს შენი ტანჯვა და გამოტეხით უნდა გითხრა, რომ შენსავით ძალად ვერ შევჰყოფდი თავს ამ სულის შემხუთველ უღელში, რომელსაც ჰქვიან ხალხის სამსახური.

**ილიკო.** ჰო, ზოგს რა მოსწონს და ზოგს რა.

**ლუარს.** (პატარა სიჩუმის შემდეგ). ისევ Русская Мысль-ში თანამშრომლობ თუ სხვაგან გადახვედი?

**ილიკო.** ისევ იქვე.

**ლუარს.** დიდის სიამოვნებით ვკითხულობდი შენს ძლიერს კრიტიკულ წერილებს. შენმა ფილოსოფიურმა წერილმა «ცხოვრების აზრი» დიდი ამბავი მოახდინა პეტერბურგის მკითხველ საზოგადოებაში. მართალია, ბევრმა კრულვით მოგიხსენია, მაგრამ უმეტესობამ სრული თანაგძნობა გიძღვნა. გაოცებულნი ეკითხებოდნენ ერთმანერთს: «ნუ თუ ქართველის კაცის გონებამ ასეთ საფეხურამდე ააღწიაო?» ჩვენ კი თავი მოგვწონდა და, კმაყოფილების ნიშნად, ულვაშებს ვიგრეხდით.

**ილიკო.** (უსიამოვნოდ მხრებს შეიშმუშნის და პირს იქით მიიბრუნებს. ლუარსაბი ცბიერად თვალს გააყოლებს).

**ლუარს.** სოფელს მართლა სტოვებ?

**ილიკო.** ვტოვებ.

**ლუარს.** რამ გამოიწვია შენი რწმენის ასე ძირიანად შეცვლა?

**ილიკო.** სოფლის უმეცრებამ, რომელიც სულ ერთიან ჰნთქავს საზოგადო მოღვაწის პიროვნებას.

**ლუარს.** ნუ თუ, ნუ თუ?

**ილიკო.** დიაღ, დიაღ, მე და ჩემისთანა კაცები მღვრიე წყლის დაწმენდას შესართავთან ვეპოტინებოდით და იმას კი ვერ ვხედავდით, თუ სოფლის უბედურ ცხოვრების სათავე აქედაან რა შორს იყო.

**ლუარს.** როგორ... ნუ თუ უარსა ჰყოფ საზოგადო მოღვაწის როლს სოფლად?

**ილიკო.** თითქმის.

**ლუარს.** შემცდარი ხარ, მეგობარო, შენი შრომის დიად ნაყოფს ყველანი განცვიფრებაში მოჰყავს; აშკარადა სჩანს.

**ილიკო.** აშკარა მხოლოდ ჩემი ათის წლის შრომის მცირე ნაყოფია.

**ლუარს.** რა გსურდა კიდევ?

**ილიკო.** ხალხის გაბედნიერება, მისი გატეხილის გულის გამთელება, მაგრამ ვაი, რომ ხალხი ისევ ისე დრტვინავს, ვით ჩემ მოსვლის პირველ ხანებში.

**ლუარს.** ბრბოს გაადამიანება და მისის სულის აღდგენა ხომ შესძელ და მეტი რა მოგეთხოვება ერთ კაცს?

**ილიკო.** ჰმ! ბრბოს გაადამიანება და გლეხ-კაცის სულიერად აღდგენა ნუ გგონია ადვილი საქმე. გლეხ-კაცის წამოსაყენებლად ათი წელი კი არა, საუკუნოებია საჭირო, მეგობარო, საუკუნოები. როგორ გინდა ათ წელიწადში წამოაყენო ის ნაწილი კაცობრიობისა, რომელსა დასაბამიდგან დღემდე თავში უროს ურახუნებენ, ძირს იყურე, მზე შენი საქმე არ არისო. ხა, ხა, ხა! რა უტოპიაა ყოველივე ეს, რა უტოპიაა!

**ლუარს.** ძლივს მეძლევა შემთხვევა მოგაგონო წარსული

**ილიკო.** რა წარსული?

**ლუარს.** განა არ გახსოვს იქ, პიტერში, როგორ ჰკიცხავდი ფუფუნებას, კარიერას, მოსვენებულ ცხოვრებას?

**ილიკო.** ეხლაც მაგ აზრისა ვარ.

**ლუარს.** ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს.

**ილიკო.** როგორ...

**ლუარს.** მაშ, რა აზრი აქვს ქალაქში გადასვლას, თუ არ პირად ბედნიერებისათვის ზრუნვა?

**ილიკო.** შემცდარი ხარ. მაგ ვიწრო ფარგალში მე დავიხრჩობი. მე შვილი ვარ ხალხისა, და მანამ ისა ჰკვნესის, ჩემი ცხოვრებაც მოწამლულია.

**ლუარს.** მაშ, არც ეხლა გსურს მოისვენო?

**ილიკო.** მოსვენება და განცხრომა კი არა, მღელვარე ცხოვრება ახლა მეწყობა, ახლა.

**ლუარს.** ოჰ, ილიკო, ილიკო! გირჩევ, კარგად დაუკვირდე მაგ საგანს, ვაი თუ ახლა უფრო სცდებოდე.

**ილიკო.** ოჰ, შევსწყვიტოთ ბაასი მაგ საგანზე. ყველაფერი საბუთიანად მაქვს გათვალისწინებული. ჩემი ბუნება ვერ იტანს ერთ წერტილზე შეჩერებას. ცხოვრება მიდის წინ და მეც უნდა მივდიო კვალ და კვალ. შეიძლება ოდესმე დავუბრუნდე სოფელს კვალად, მაგრამ ეხლა კი ვეღარა შემაჩერებს-რა ამ ფრთებ-შეკრეჭილ მოღვაწეობის გზაზედა. (ამ დროს გამოჩნდება საბანაოდგან დაბრუნებული სოსიკო, რომელსაც ძველ გაზეთში გამოხვეული სცვლები იღლიაში უჭირავს. მხარზედ სველი პირსახოცი აქვს გადაკიდებული).

**ლუარს.** (შეჰნიშნავს) ვისია ეს ყმაწვილი?

**ილიკო.** ჩემი უფროსი ძმის ვაჟია, ობოლი. ახლავე გაგაცნობ. სოსიკო, მოდი აქ! (სოსიკო სწრაფად მიირბენს აივანთან, საცვლებს გადისვრის, პირსახოცს მოაჯირზედ გადაჰკიდებს და მივა იმათთან).

### გამოსვლა მეორე.

**ილიკო.** ლუა, გაიცანი. ეს ჩემი ძმისწული სოსიკოა, (სოსის). ეს ინჟენერი გელოვანიძეა, ჩემი ძველი ნაცნობი (სოსიკო ხელს ჩამოართმევს).

**ლუარს.** სადა სწავლობთ, ყმაწვილო კაცო?

**სოსიკო.** გიმნაზიაში.

**ლუარს.** რომელ კლასში ხართ?

**სოსო.** მეშვიდეში გადავედი.

**ლუარს.** ყოჩაღ! ასე პატარა და მეშვიდეში? სასიამოვნოა, ძლიერ სასიამოვნოა! (ამ დროს ოლინკაც ჩამოივლის თავ-ჩაღუნული აღმოსავლეთით. ფართუკის კალთით ახალი თხილი მოაქვს და თან სჭამს. დაუპირდაპირდება რა ამათ, შეჰხედავს, შეკრთება და შეჩერდება).

### გამოსვლა მესამე.

**ილიკო.** ესეც ჩემი ძმისწულია, ამისი და ოლინკა, მოდი აქ... მოდი, მოდი, ნუ გრცხვენიან. (ისიც მივა დარცხვენით) გაიცანი, ეს ლუარსაბია, ეს ჩემი ოლინკაა. (ხელს ჩამოართმევს).

**ოლინკა.** დიდად სასიამოვნო გახლავთ, ბატონო.

**ლუარს.** (მხიარულის ღიმილით) მადემუაზელ! ახლა კი, როცა უკვე გაგიცანით, გავკადნიერდები და გკითხავთ, თუ რა გაქვთ შენახული ფართუკის კალთაში?

**ოლინკა.** (უფრო დარცხვენილი) ჩემი სიკვდილი! ვაი, სირცხვილო!

**ლუარს.** მაინც, მაინც?

**ოლინკა.** ახალი თხილი გახლავთ, ბატონო.

**ილიკო.** მერე და რა არის აქ სათაკილო, წადი დაარჩიე, დაალაგე თეფშზე და მოგვართვი.

**ოლინკა.** ამ საათში, ბატონო. (გაემართება სახლისკენ).

**ილიკო.** სანთლის არაყიც წამოიმძღვარე თან.

**სოსიკო.** ბიძიკო! ჯერ სამოვარს დავდგამთ და ჩაიზე შეექეცით თხილსაც და სანთლის არაყსაც.

**ილიკო.** ეგ კიდევ უკეთესი. Нука, иди дѣточка, иди и распоряжайся, какъ молодой хозяинъ. დედას თუ სძინავს, ჯერ ნუ გააღვიძებთ. (სოსიკოც მიდის).

**ლუარს.** რა მშვენიერი ყმაწვილები არიან! ტყუილად კი არ მიქებდა გუშინ წინ კნიაჟნა შენს პატარა ჭრუკებს, (როცა ტასოს ახსენებს, თვალებში უყურებს ილიკოს, რომ გამოიცნოს რა გავლენა იქონია თავადის ასულის ხსენებამ, მაგრამ მოსტყუვდა, რადგან ილიკო გუნებას არ იცვლის).

**ილიკო.** ჰო, თავადის ასულს ჩვენი ბალღები უყვარს, რისთვისაც ესენიც ათაყვანებენ, ისე ვით ერთ დროს მის ძმას ეკვროდნენ გულში შვილის ნუკრებივით.

**ლუარს.** კნიაჟნას როგორი თვალით უყურებ?

**ილიკო.** დიდ პატივსა ვცემ.

**ლუარს.** ისიც მაგ აზრისაა შენზედ. რამდენი ხანია, რაც დაუახლოვდი?

**ილიკო.** ორი წელიწადი, ე. ი. მას შემდეგ, რაც მამიდა გარდაიცვალა და იძულებით ძმასთან დაბინავდა.

**ლუარს.** Даа! браво! Неслыханный успѣхъ!

**ილიკო.** რას ნიშნავს ეგა?

**ლუარ.** იმას, ჩემო კარგო, რომ ერთ

*) იხ. ივერ. № 205.

იმის წყალობით, რომ მრავალსა და მრავალს ჩვენს ნაკლულევანებას ყურადღებას არ ვაქცევდით, ხელს ვაფარებდით. ნუ თუ ახლაც არაფრად ჩავაგდებთ ამ ღვთისმიერ მოვლინებულს რისხვას და ვერ მივხვდებით, სად იმალება ის შხამი ხრწნილებისა, რომელმაც ასეთ უფსკრულამდე მიგვიყვანა?

«ს.-პ. ვედ.»-ი შეჰნიშნავს ამაზედ, რომ მეშჩერსკის გაზეთმა სწორედ აღნიშნა ერთი იმ გარემოებათაგანი, რომელიც ჰვნებს რუსეთის ერთიანობას და ასე თუ ისე ხელს უშლის მის კეთილ-დღეობასა. გაზეთი ამბობს, რომ

დროა აღარ ვუყურებდეთ რუსეთში მცხოვრებ არა-რუსთა და არა-მართლმადიდებელთა, ჩვენთან მტკიცედ შეკავშირებულთა, ისე, როგორც უცხოსსა და მავნებელ ელემენტს, რომელიც უთუოდ უნდა დამახინჯდეს, გადაგვარდეს, გადანათლულ-იქმნას და რომელსაც სული უნდა ამოვართვათ... სამწუხარ მოვლენის მოწმენი ვართ ამ ჟამად: გაზეთებსა და ტელეგრაფს მოაქვს ყოველ-დღე დაწვრილებული ამბები ბრძოლისა, დაზვერვისა, გმირულის ღვაწლისა. ამ ამბავთა შორის არა იშვიათად ვხედავთ არა-რუსთა, არა-მართლ-მადიდებელთა სახელსა და გვარსაც. ისინიც ჩვენთან ერთად იხოცებიან იმავ ბრძოლაში, იმავე გულადობით, იმავე აზრით, როგორც ჩვენები. ეს თავგანწირულნი გმირნი ისინი არიან, რომელთაც გაგზავნით-კი ვგზავნით ცეცხლსა და ნავთში, ხოლო ის-კი არ გვინდა, რომ ყოველ-დღიურ ცხოვრებაშიაც ამხანაგებად გვაიხლოთ, ჩვენს ტოლ სწორებად მივიჩნიოთ; სიკვდილით-კი უნდა დაიხოცნონ ჩვენთან ერთად, გაიზიარონ გაჭირვება, განსაცდელი, განუზომელი ტანჯვა-მწუხარება, სარგებლობით-კი არ უნდა ისარგებლონ იმ საერთო სამშობლოს უფლებითა და უპირატესობით, რომლისათვისაც ჩვენთან ერთად, ჩვენს გვერდში ამოდგომით გმირულად თავსა სდებენ. არაო, ეგ არ შეიძლებაო. იმათთვის სხვა კანონია დაწერილიო: მოკვდი შენც ისე, როგორც მე ვკვდები, ხოლო იცოცხლე, როგორც მე მინდა და არა ისე, როგორც შენი სარწმუნოება ითხოვს, შენი ეროვნება, შენი სული და გულიო!..

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 სექტემბერი.

**ჩიფუ.** (რეიტერი). პორტ-არტურიდან მოვიდნენ ორი ნემეცი-ვაჭარი და ერთი ყაზახი პოლკოვნიკი. ამბობენ, 1 სექტემბერს გენერალ-ადიუტანტს სტესსელს მისვლია კუროპატკინის ბრძანება, შეიმაგრე პორტ-არტური იანვრამდე, როდესაც გამოირკვევა საქმეთა საზოგადო მდგომარეობაო. დაუყონებლივ მოახდინეს შემოწმება ციხის სათადარიგო სურსათისა. ირწმუნებიან, სამხედრო მასალა ხუთს თვეს ეყოფათო, საკვები, ბრინჯი და თეთრი პური—ექვს თვესაო. გენერალ სტესელმა გამოუცხადა მცხოვრებლებსა, თუმცა აგრე რიგად საშიში არა არის-რა, მაგრამ მაინც აქედანვე უნდა შეემზადოთ, რომ ყველა უბედურობა დაითმინოთ, ურჩია სამოქალაქოთა და ევროპიელებს, გადით ქალაქიდანო. ვინც თანხმაა დარჩეს, კიდეც უნდა იტვირთოს მოსალოდნელი უბედურება. მტკიცდება ის ამბავი, რომ მივიდა გემი 6 ათასს ტონისა, რომელმაც თან მიიტანა ფქვილი და საომარი მასალა. გემი საფრანგეთის ბაირაღით მოდიოდა ევროპიდან და შედიოდა ჩინეთის ნავსადგურებში, მერე მოახერხა გაძრომა იაპონიის გემთა შორის; რუსის ნაღმოსანი «გრემიაშჩი» გამოეგება გემსა, დაეტაკა ნაღმსა და ჩაიძირა, ხალხი გადარჩა. მეციხოვნეთა რიცხვი 8 ათასზე დაიყვანეს. გენერალ სტესელმა გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც არც ერთს ევროპიელს ნება არა აქვს, ციხიდან გავიდეს.—გაზეთი «ნოვი კრაი» 29 აგვისტოდან აღარ გამოდის. რამდენიმე დედა-კაცი დარჩა ციხეში. გენერალ სტესელის მეუღლე ხელმძღვანელობს წითელ ჯვრის ლაზარეთსა და თავის ქმართან იმყოფება ფორტებზე ბრძოლის დროს. რუსის გემები შეაკეთეს და მზად არის ზღვაში გასასვლელად. ამ უკანასკნელ თვეში ოთხი რუსის ნაღმოსანი დაეჯახა ნაღმსა.

**ლონდონი** (რეიტერი). «ტაიმსის» კორესპონდენტი, რომელიც იაპონიის ლაშქარში იყო, ლიაოიანის ბრძოლის აღწერის ასე ათავებს: კუროპატკინისაგან შედგენილის დისპოზიციის ღირსებას ყველა ტაქტიკოსები შეიწყნარებენ. კუროპატკინმა სრულებით დაარღვია იაპონელთა გეგმა, რომელნიც ელოდენ შედარებით სუსტს წინააღმდეგობას. რუსის ჯარებს ლიაოიანში ცოტა სურსათი ჰქონდათ, რაკი რკინის გზის იმედით იყვნენ, რომელსაც ყოველ დღე მოჰქონდა სურსათი. იაპონელთათვის არაფერი დაუტოვებიათ, ის სურსათი, რაც დარჩათ იაპონელებს, მხოლოდ ერთს დღეს ეყოფათ. რუსები გასხლტნენ და იაპონელებს 20 ათასი კაცის ზარალი მიაყენეს.

**კარდიფი** (რეიტერი). ამ უკანასკნელ დღეებში ხუთი ნახშირის გემი წავიდა სამხრეთ ვალისის ნავთსადგურიდან. ორს მიაქვთ—კანარის კუნძულებისაკენ, მეხუთე მიდის ვიგოს ფიქრობენ, ამ გემებს მიაქვთ ნახშირი რუსის სამხედრო გემებისთვის. ყველა გემის კაპიტანმა კანვერტში დაბეჭდილი ბრძანება მიიღო, რომელსაც მხოლოდ ზღვაში გახსნიან.

**ჩიფუ.** (რეიტერი) ოთხი უცხოელი, პორტ-არტურიდან მოსულნი, ამბობენ, ამ უკანასკნელ კვირის განმავლობაში ხან გამოშვებით იყო ყუმბარების სროლა დღისით და ღამე; ფორტებიც პასუხს აძლევდნენ. ყუმბარებმა ცოტა ზიანი მიაყენა ქალაქსა. მოკლული და დაჭრილი რამდენიმე ჯარის-კაცია.

**ბარცელნა.** (ჰავასი). მოვიდა რუსის წყალზე მავალი საავადმყოფო «არიოლი».

**ლხასა.** (რეიტერი). 10 სექტემბერს გავლენ ინგლისელები. ღამღამით ჰყინავს, მთებზე თოვლი მოვიდა. შიშობენ, რომ ჯარის-კაცებს სიცივე შეაწუხებსო, რადგან თბილი ტანისამოსი არა აქვთ.

**ელისავეტგრადი,** 6 სექტემბერი. ჯარის მოგროვებამ წყნარად ჩაიარა.

**კრონშტადტი.** ლიბავიდან მოვიდა ადმირალის ბაირაღით პირველ რანგის კრეისერი «მინინი».

**ჩიფუ,** 5 სექტემბერს (რეიტერი). სამხედრო სპეციალისტები, რომელნიც გულ-მოდგინედ ადევნებდნენ თვალ-ყურს პორტ-არტურის ამბებს, ჰგონებენ, ან უკვე უნდა თავდებოდეს იერიშის მიტანა ციხე-სიმაგრეზედ ან არა და ახლო მომავალში უნდა ველოდეთ კიდევ. ამ თავის აზრს ამყარებენ იმ გარემოებაზედ, რომ საშინელი მედგარი სროლა დაუწყიათ ციხისათვის ზარბაზნებისა 2 სექტემბერს. ასეთი დაშენა ყუმბარებისა წინ უსწრობს ხოლმე ჩვეულებრივ იერიშის მიტანასაო. შიკრიკებისა და იფრანდათა მოსვლაცა, რომელთაც საყურადღებო მოხსენება მოიტანეს იმ დროს, როდესაც ალყის გარღვევა მეტად საშიშოა, ამტკიცებს ამ აზრის სიმართლესა. უკანასკნელ სარწმუნო ცნობათა თანხმად, იაპონელებმა უკვე დაამთავრეს ალყის შემორტყმის საქმეები. იაპონელთა მოხსენებანში ნათქვამია, რომ დალნის მცხოვრებნი ჯერ ისევ 3 სექტემბერს ელოდნენ, იერიში მიტანილი იქმნება რამდენისამე დღის შემდეგო. იაპონელნი ჰგრძნობენ, რომ მათი უმოქმედობა აძლიერებს რუსთა წინააღმდეგობის სიმედგრეს და ამიტომ უნდათ იერიშის შეწყობით, რაც შეიძლება, მალე გაათავონ ციხის გარ-შემოდგომის საქმე.

პორუჩიკი თავადი რაძივილი, ერთი კიდევ სხვა ოფიცერი, ორი კერძო კაცი და ოფიცრის ცოლი მოვიდნენ პორტ-არტურიდან. 3 სექტემბერს ღამე წამოსულან ნავითა. ღამევე გადმოსხდნენ აქ ხმელეთზედ. თავადმა რაძივილმა მოახერხა და შევიდა პორტ-არტურში ორის კვირის წინად. თან ჰქონდა დეპეშები გენ. კუროპატკინისა. ახლა დაბრუნდა და ახლაც მრავალი დეპეშა, მოხსენება და სხვა ქაღალდები მოიტანა. როცა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს ებაასებოდა, თავადმა რაძივილმა, რომელსაც დეპეშები კუროპატკინთან მიაქვს, სთქვა, მებრძოლნი იქამდე მივიდნენ, რომ ერთმანეთს სრულიად აღარა ჰზოგავენ და ყოვლად უწყალოდ ეკიდებიან. ტრანსვაალში ვიმსახურე ინგლისელთა შორის და პორტ-არტურის ალყამდე არ ვიცოდი, გაგება არა მქონდა იმისი, თუ რა საშინელებაა ომი. დეპეშებში მოხსენებულია, თუ რაოდენად ეჭვით უყურებენ ერთმანერთს მებრძოლნი მტერნი, რანაირ ბოროტად ჰხმარობენ წითელ ჯვრის ბაირაღს. ეს ურთიერთ შორის უნდობლობა ისე გამწვავდა, რომ ახლა პარლამენტიორების თეთრ ბაირაღებსაც არაფრად აგდებენ არც რუსნი და არც იაპონელნი. რაძივილმა განაგრძო, რომ ამ მტრობას მებრძოლთა შორის გაათრების ხასიათი აქვსო. ამას წინად სტესსელმა სთქვა, იაპონელნი ისე იქცევიან, რომ საჭიროა მედგრად ვეურჩოთ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, რადგან ეჭვი არაა, თუ ციხე აიღეს, იაპონიის ოფიცრები ვერ შეიკავებენ გაალმასებულს ჯარის-კაცთა და ვერ შეუშლიან ხელს საშინელს ჩხა-ჟლეტას და სისხლის-ღვრას. ამიტომ ვაძლევ ნებას სამოქალაქო სამსახურის ხალხს, დროზედ გაგვეცალნენ აქედგანაო. რაძივილი მოგვითხრობს, რომ 300 ქალს, რომელნიც ქსენონებში მსახურებენ, აგრძნობინეს, შეგიძლიანთ წახვიდეთ აქედანაო, მაგრამ იმათ განაცხადეს, სჯობს აქვე ვიქმნეთ დახოცილნი, ვიდრე დავალებულ საქმეს ვუღალატოთო. რაკი თეთრს ბაირაღს ყურადღებას არ აქცევდნენ, იაპონელთა გვამნი დაუმარხავი რჩებოდა რამდენისამე კვირის განმავლობაში. ისეთი საშინელი მძოვრის სუნი სდგას ქალაქში, რომ ატანა შეუძლებელია; ჯარის კაცნი, რომელნიც დარაჯად სდგანან ხრწნაში შესულ გვამებთან, ცხვირს ქაფურ-ცხებულ ხელსახოცით იხვევენ. 15—18 აგვისტოს იერიშების დროს იაპონელების ორს როტას აღარ შეეძლოთ გაჰმაგრებოდნენ რუსებს და თეთრი ბაირაღიააფრიალეს, ნიშნად დამორჩილებისა. რუსებმა ყურადღება არ მიაქციეს და განაგრძეს სროლა. მეორეს მხრივ, იაპონელთა ჯარი გაბოროტდა, რად გამოჰფინეს თეთრი ბაირაღიო და ახლა იმათაც დაუწყეს სროლა თავისიანებს. 600 ჯარის კაცი იაპონელთა დააწვინეს ამ დროს რუსთა და იაპონელთა ჯარებმა. ჯარის კაცნი ცვიოდნენ ძირს ხრწნაში შესულ გვამთა შორის. დაჭრილნი იქვე რჩებოდნენ რამდენსამე დღეს უპატრონოდ და მოუვლელად. შორიდან სჩანდა, რომ განწირულებით ანიშნებდნენ ხელსახოცის ქნევით, გვიშველეთო, მაგრამ რუსნი ვერ ჰბედავდნენ მიშველებას. ერთის კვირის შემდეგ დუმილი ჩამოვარდა. თავადს რაძივილს უნახავს რუს-იაპონელთა გვამთა გროვაში ისეთნიცა, რომელნიც გააფრებულნი სცემიან ერთმანერთს და ისე დახოცილან ორივენი, ერთმანერთს ჩაფრენილნი. ამისთანა მაგალითი არა ერთი და ორი ყოფილა და ეს იმას მოასწავებს, რომ ბრძოლას მეტად გამწვავებული ხასიათი მისცემია. მაგალითი თითოეულის გმირობისა მრავალია. ლეიტენანტ პეტროვის საშინელმა სიკვდილმა დიდად იმოქმედა ყველაზედ. ერთს ბრძოლაში როტას მეტად საშიში ატგილი ეჭირა და, რაკი დარწმუნდა, რომ ველარ გამაგრდებოდა, აცნობა ეს ამბავი სტესელს. გენერალმა შეუთვალა: «თუ გამაგრება არ შეგიძლიანთ, სიკვდილი ხომ შეგიძლიანთო». ის გმირნიც ყველანი იქ დაიხოცნენ. ის ხმები, რომ ვითომ პორტ-არტურში ტყვია-წამალი და სურსათი შემოელიათო, საფუძველს მოკლებულია. ტყვია-წამალი საკმაოა ზარბაზნებისათვისაცა და თოფებისათვისაც. ციხეს უხვად აქვს სარჩო. გენერალი სტესელი, როცა ციხიდან წამოვედი, ფრიად კარგს გუნებაზედ იყო.

---

დროს ცელქი და თავ-სუბუქი კნიაჟნა, სრული განხორციელება «**свѣтской барышни** თითქმის დაგიმონავებია.

**ილიკო.** მაგ სიტყვებით შეურაცხმყოფ.

**ლუარ.** აბა, როგორ?

**ილიკო.** დავიმეგობრე და არა დავიმონავე.

**ლუარ.** ღმერთო ჩემო, რა ცვლილებაა, რა საგრძნობელი ცვლილებაა! ახლა სრული კონტრასტია იმისა, რაც ამ ორის წლის წინად იყო. გუშინდელი თავქარიანი კნიაჟნა, დღეს გარკვეულის რწმენისა და შეხედულობის ქალად ქცეულა. რა თქმა უნდა, ყოველ ამისათვის შენი ხელმძღვანელობა იყო საჭირო და ვაშა შენს ბიჭობას, რომ ასე სამაგალითოდ განგივითარებია. გიმადლოს, ძმაო, ღმერთმა ენერგია და სულის ძალა, რომ კვლავაც შესძლო ახალ-ახალ ძალის გამოყვანა ჩვენის ცხოვრების ასპარეზზედ.

**ილიკო.** ქარაფშუტა არასოდეს არა ყოფილა. ბუნებით ქარაფშუტობა უკურნებელი სენია, ის ცოცხალი, მაგრამ გზა-კვალ არეული არსება იყო, რომელიც **при извѣстныхъ благопріятныхъ обстоятельствахъ**, უნდა გამორკვეულიყო უსათუოდ. მაღალი ბუნება მუდამ ამცნობს ქვეყანას თავს.

**ლუარს.** გიხაროდეს, კარგი საცოლო ამოგირჩევია.

**ილიკო.** როგორ თუ საცოლო?

**ლუარს.** განა ამასაც განმარტება სჭირია?

**ილიკო.** რასაკვირველია, სჭირია, და ამას იქით მე მოვითხოვ შენგან უფრო გარკვეულს ლაპარაკს.

**ლუარს.** მაშ, რა აზრი ჰქონდა შენს მისდამი დაახლოვებას, მის გონებრივ განვითარებისათვის ზრუნვას?

**ილიკო.** რა აზრი? უბრალო, ადამიანური; ნუთუ იმისთვის უნდა გავიცნოთ კაცი, დავუახლოვდეთ, დავეხმაროთ, რომ შემდეგში უეჭველად ჩვენვე ვისარგებლოთ, სამაგიეროდ ავინაზღაუროთ? ოჰ, რა ეგოიზმია, რა ვაჭრული ანგარიშია!

**ლუარს.** დავიჯერო არ გიყვარს?

**ილიკო.** ეგ სულ სხვა საქმეა. რა დამიშლიდა, შენის ფიქრით, კარგის ადამიანის შეყვარებას? ქვა ხომ არ ვარ, ან და, ბუნების უკანონო შვილი? მეც ხომ მაქვს გული და გრძნობა? წარმოიდგინე ქალი, განხორციელება სიმპატია-ალტრუიზმისა, ქალი, რომლის ლადი ნიჭი, ჭკუა, შეუბღალავი ზნეობა, მედგარი, სიცოცხლისათვის აფეთქებული გული, შეერთებული გარეგან სიტურფესთან, რა სულ-გულის წარმტაც ჰარმონიას წარმოადგენს და მერე მკითხე, შემეძლო არ შემყვარებოდა?

**ლუარს.** მართალი ხარ, ილიკო, მართალი! არ შეგვძლო არ შეგვყვარებოდა ქამურის მზეთ-უნახავი, ის მზეთუნახავი, რომელიც ასე ძვირად აფასებს თავის თავს და რომლის გულისათვისაც ბევრი წარჩინებული გაცურდა ყინულზე.

**ილიკო.** ისინი ლამაზ ლოყებსა ჰხედავდნენ მხოლოდ, მეტს არაფერსა და მეკი ვაფასებ იმდენად, რამდენადაც ადამიანია, რამდენადაც თავისიანებზედ მაღლა სდგას, რამდენადაც შესძლო იმათ არა სასურველ აჰეკიდგან თავის დაღწევა და თავისუფალ ადამიანად გადაქცევა.

**ლუარს.** ილიკო! მე ერთ საიდუმლოში უნდა გამოგიტყდე. გთხოვ მხოლოდ ყურადღებით მომისმინო.

**ილიკო.** სთქვი, ყურს გიგდებ.

**ლუარს.** ეს წელიწად ნახევარია, რაც კნიაჟნა მიყვარს.

**ილიკო.** (ცოტა მოიღრუბლება და სმენად გარდაიქცევა). იმასაც გაუზიარე შენი გულის ნადები? თანაგიგრძნო?

**ლუარს.** გავუზიარე ამ ერთის თვის წი-

**ილიკო.** მერე, მერე?

**ლუარს.** მერე ისა, რომ მეც ცივი უარი მივიღე.

ნად, როცა მარტონი ბოტანიკურ ბაღში დავსეირნობდით.

**ილიკო.** რა მოტივის ძალით?

**ლუარს.** ჩემი გული სხვას ეკუთვნისო. და მთხოვა არ შემძულებოდა, მყვარებოდა, როგორც და, მეც მეყვარები როგორც ძმაო. ჩავეკითხე, ვინ არის ის ბედნიერი მეთქი და, ჩემდა განსაცვიფრებლად, შენ დაგასახელა.

**ილიკო.** (ცოტა შეკრთება და რაღაცა ძალა სცენის სიღრმისაკენ გააქანებს ღუასაბი ბლუტურად, პუბლიკისკენ). გავაცეტე თუ არა! გამოგტეხავ, თუ კაცი ვარ.

**ილიკო.** (მობრუნდება) მერე, მერე? რით გათავდა შენი რომანი?

**ლუარს.** გავიგე რა, რომ მისი სიყვარულის საგანი ჩემი ამხანაგი ილიკო მენაბდიშვილია, იმ ქალისადმი სიყვარული, როგორც საცოლოსი, სადღაც გაჰქრა იმ ერთ თვეში და, დიდის სულიერის ბრძოლის შემდეგ, ეხლა მართლა დასავით მიყვარს.

**ილიკო.** (უეცრივ მოტრიალდება). არა მგონია.

**ლუარს.** რატომ?

**ილიკო.** ერთი რომ ჩვენ ამხანაგები თავის დღეშიაც არა ვყოფილვართ იმ თავითვე და სხვა და სხვა ბანაკისა ვიყავით და, მაშასადამე, არცა გქონდა საბუთი ჩემის გულისთვის რაიმე დაგეთმო, მერე ისიც ლამაზი ქალი; ესეც რომ არ იყოს, ასეთ შემთხვევაში დათმობა ვერც კი წარმომიდგენია.

**ლუარს.** ნუ თუ? შენ აგრე გგონია? მწყინს, ძმობამ, მწყინს!

**ილიკო.** დიაღ, დიაღ, მე პირდაპირი კაცი ვარ. მოკლედ გითხარი და მკაფიოდ.

**ლუარს.** სკეპტიკი ხარ და რა გითხრა.

**ილიკო.** შენი მსჯელობა ლოღიკისა და ბუნების წინააღმდეგია, შენ ის გაგიჟებით შეგიყვარდა, მაგ აზრს ატარებდი მუდამ, მაგით ნუგეშობდი მთელი ორი წელიწადი და უეცრივ შენი მიჯნური დავიწყებას მიეცი რაღაც ორსამ კვირაში, იმიტომ რომ იმას თურმე სხვა უყვარს. ხა, ხა, ხა! ფრიად არა ნორმალური მოვლენაა. და რამდენადაც ჩემთვის სასიხარულოა, იმდენად შენი ფსიხიკის ცუდად დამახასიათებელია. არა, არა, ლუარსაბ. აგრეთი ორგროშიანი სიყვარულისა არა მწამსრა. თუ შევიყვარე ვინმე, მორჩა... გათავდა... უცებ ველარ გადავიგდებ გულიდგან. მაშინაც კი ვერ დავივიწყებ, თუნდა ჩემს წინაშე დამნაშავეც იყოს. მაგრამ ეს ხომ კანონი არ არის, იქნებ ეგეც ანომალიაა, მხოლოდ გეტყვი, რომ სიყვარულს შეუძლიან ჩემისთანა კაცი უფრო დასტანჯოს, ვიდრე შენისთანა; რომელსაც მალეც შეიყვარებ, მალეც გადივიწყებ; ანუ ქარის მოტანილს ქარივე წაიღებს. შენი რომანის ბოლო არ მომეწონა რაღაც. ალბად ყველა ქალისთვის გადაშლილი გაქვს გული, და რომელიც შიგ დაიბუდებს, სულ ერთია, რა გენაღვლება, როცა გინდა, ხომ გამოსდევნი და! ხასიათი მტკიცე, ცხოვრების ქარ-ცეცხლში გამომწვარ-გამობრძმედებული, სიყვარულსაც ისეთსავე სიმტკიცით და სიფაქიზით ეპყრობა, როგორც ყოველსავე თავის საქმეს.

**ლუარს.** მაშ, შენ არა გჯერა ჩემი არაფერი?

**ილიკო.** რატომ, რატომ, მაგრამ ამ საქმეში შენ არა ხარ სანდო.

**ლუარს.** რა საბუთის ძალით.

**ილიკო.** სტუდენტობის დროს ქალის პიროვნებას უარსა ჰყოფდი, როგორც სიტყვით, ისე საქმით. სხვა არა იყოსრა, შენზედ ძალიან გულნატკენი ვარ მას შემდეგ, რაც ვასილიევის კუნძულზე ერთი ობოლი ქალიშვილი გააუპატიურე და იძულებულ ჰყავ ნევაში დაეხრჩო თავი. თუ გახსოვს, მაშინ მე და შენ ძლიერ ვიჩხუბეთ. არ ვიცი, შეიძლება მერე გამოიცვალე. ღმერთმა ჰქმნას, ვცდებოდე. სიხარულის მეტს არას მაგრძნობინებს, იცოდე.

**ლუარს.** მწყინს, რომ ასე გაგტეხია გული ჩემზე. მე კი დღეს აქ იმიტომ მოველ, რომ გამეგო ნამდვილი. დავრწმუნდებოდი თუ არა, რომ თქვენ ერთმანეთი გიყვართ, ვცდილიყავ დაგხმარებოდი და ჩემს აქ ყოფნაში დამეგვირგვინებინა ეს საქმე. ნუ დაივიწყებ, რომ დიდი დაბრკოლება მოგელის, თუ რამ გიძევს გულში. მარშანიძიანთ გვარს ნუ ეხუმრები, უსისხლოდ არ ჩაივლის თქვენი საქმე.

**ილიკო.** ნახვისთვის გმადლობ, მხოლოდ დახმარებისათვის თავს ნუ იწუხებ. ჩემი საცოლო, გონება მომწიფებული და სრულიად დამოუკიდებელი არსება უნდა იყოს. არ უნდა ირყეოდეს წაღმაუკუღმა.

**ლუარს.** ოო, მაგისთანა ქალი საქართველოში კი არა, დასავლეთ ევროპაშიაც იშვიათია.

**ილიკო.** რას იზამ... (მხრებს აიწევს) ჩემი დევიზია: ცხოვრება უკომპრომისოდ, ყველაფერი ან არაფერი. (ამ დროს თანდა-თან ბნელდება, სახლიდგანაც რაღაც ხმაურობა მოისმის). **Однакожь, довольно намъ философствовать.** დროა, ჩაი დავლიოთ. (მხარზე მარჯვენა ხელს დაადებს ლუარს.) იმედია, არ გატკენს გულს ჩემი გულ-ახდილი ლაპარაკი. საქმის დროს საქმე ვიცი. (მოშორდება, მიუახლოვდება აივანს და გადასძახებს): სოსიკო, ოლინკა!

**ოლინკა.** (გამოჰყოფს წინა ფანჯარაში თავს) ბატონო!

**ილიკო.** სანთელი მოიტანე ნუ თუ თქვენთვის ჯერ არ დაღამებულა? ან სამოვარი რა უყავით ამდენს ხანს?

ტრ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება)

თვისის გმირულის მაგალითით აღაფრთოვანა დაჭრილნი და დაკოდილნი. 8,000 კაციდან 5,000 იყო დაჭრილი და ახლა ესენი ისევ ჩადგნენ ციხის დამცველთა რაზმებ შორის.

გენერალ სტესელის ცოლი ხელმძღვანელობს წითელის ჯვრის დაწესებულებას, თვით ათვალიერებს დაჭრილთა, და, თუმცა მძიმე სამუშაო აქვს, მაგრამ მაინც დროს იშოვის ხოლმე, რომ მიეშველოს ობლებსა და თვალ-ყური ადევნოს შესახვევების დამზადებასა. ჯარის-კაცებს თავის მფარველ ანგელოზად მიაჩნიათ. მეციხოვნენი არ ჰკარგავენ მხნეობასა. ისინი სრულებით ენდობიან თავის სარდალს. როცა სტესსელი ცხენით შემოუვლის პოზიციებსა, ჯარები აღტაცებით მიეგებებიან ხოლმე. იაპონიის ყუმბარებმა დიდი ზარალი მიაყენეს საავადმყოფოს და სხვა შენობებსა. რაოდენობა დახოცილთა დიდი არაა. 1 სეკდემბერს იპოვეს მეორესა და მესამე ფორტებს შუა ორი ათასი იაპონელთა გვამი. ჩინეთის წყაროებიდან გავრცელდა ხმა, რომ გენერალი ნოგი მოჰკლეს და იმის მაგიერ დანიშნეს სხვა სარდალი, რომელიც დალნიდან მოვიდაო.

**სტავროპოლი.** 6 სეკდემბერი. საგანგებო მატარებელით მოვიდა აქ იუსტიციის მინისტრი და დაათვალიერა საპყრობილე და ოლქის სასამართლო. საღამოთი იმავე მატარებლით კავკასიის სამკურნალო წყლებზე მიდის.

**მადრიდი,** 6 სეკდემბერი. (ჰავასი). რუსის კრეისერი ნახეს სანტა-მარიამის კონცხთან იმ დროს, როცა კრეისერმა შეიპყრო სავაჭრო გემი. ფიქრობენ, რომ ის ინგლისის გემი იყო და სამხედრო კონტრობანდი მიჰქონდაო.

**პარიჟი,** 6 სეკდემბერი. (ჰავასი). დიდძალი მორჩენილნი და დაჭრილნი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან მუკდენსა. მომეტებული ნაწილი გაზეთების კორესპონდენტებისა მიდიან მუკდენიდან ჩრდილოეთად, უფრო თელინს, სადაც გაჩაღდა ცხოვრება; სამხედრო მუსიკა საჯგურს ახლო უკრავს. სათეატრო დასი, განსაკუთრებით ქალებისაგან შემდგარი, წარმოდგენებს ჰმართავს. ვლადივოსტოკიდან მოსული ამბავი გვამცნევს, რომ ხალხი მშვიდობიანად არის, არ ეშინიან არც ალყისა, არც ზღვიდან დაცემისა. არც კი სჯერათ, თუ ეს შესაძლებელია. ბევრნი ბრუნდებიან ისევ ვლადივოსტოკს მაშინ, როდესაც ზოგიერთნი მიდიან. იმ ადგილებში, სადაც ჯარები სდგას, სიცივე და წვიმები დაიჭირა.

**ოდესა.** ოდესის ოლქის ჯარებში გაცხარებული მზადებაა. იმ ჯარებს, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთში გაიგზავნება, თან მიაქვს საავადმყოფო, საკმაოდ ეყოლება ექიმები, ფერშლები და სანიტარები, აგრეთვე სამხედრო ტელეგრაფის მოხელენი.

**ლონდონი.** (რეიტერი). სამხედრო კონტრაბანდის უფლებათა შესახებ ბროდერიკმა სთქვა, იმედია, რომ გამწვავებული ურთიერთობა, რომელმაც იმდენი შეწუხება მიაყენა ინგლისს, აღარ განმეორდება, რადგან ამ განმეორებას ისურვებენ მხოლოდ მტერნი ინგლისისა და რუსეთისაო. რაიცა შეეხება ინგლისის მთავრობის საქციელს შემდეგში, უნდა ვსთქვათ, რომ ინგლისელთ შეუძლიანთ გულ-დამშვიდებულნი იყვნენ. სავაჭრო ფლოტის გამოც არ უნდა იწუხებდნენ თავს, რადგან მთავრობამ გადასწყვიტა, ისე იქნება თუ ისე, მოუპოვოს ამ ფლოტს პატივისცემა და არავის შეალახვინოს მისნი უფლებანი. თიბეთის შესახებ ბროდერიკმა გამოაცხადა პარლამენტში, რომ, კონვენციის ძალით, ინგლისი მოვალეა შეიწყნაროს უზენაესობა ჩინეთისა, მაგრამ ამასთანავე უნდა უზრუნველ ყოფილ იქმნას ინგლისის სავაჭრო უფლებანიცა და კონტრიბუციის გადახდაცა. ინგლისმა იკისრა ვალდებულება არ დაიჭიროს არსად თიბეთის მიწა-წყალი სამუდამოდ, აგრეთვე არ ერეოდეს ხოლმე გამუდმებით შინაურს საქმეებში. კიტჩენერმა, როგორც მთავარ-სარდალმა ინდოეთის ლაშქრისამ დიდი საქმე გაარიგა. მიღებულია ღონისძიება, რომ ეგ ლაშქარი სასწრაფოდ იქმნას, თუ საჭიროება მოითხოვს, აღრაზმულ-დარაზმული და თოფ-ქვეშ დაყენებული. იმედია, ამ ღონისძიებათა წყალობით, ინდოეთის ლაშქარი, საჭიროების დროს, დიდხანს გაუძლებს ომიანობას და არ დასჭირდება გარედან მიშველება. იმედი მაქვს, რომ ინდოეთის ჯარს არ მიეცემა შემთხვევა იბრძოლოს ინდოეთის საზღვრების დასაცველად, მაგრამ საუკეთესო ღონე მშვიდობიანობის უზრუნველ საყოფელად არის, ამცნო იმათ, ვისაც შეუძლიან ააშფოთოს და ააღელვოს ინგლისი იქ ატეხილ დავით, რომ იგი მზად არის და რომ ყოველივე გათვალისწინებულია, წინდაწინვე მოფიქრებული და მოსაზრებული.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

3 სეკდემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,60 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,47½ |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92 ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 88¾ ნ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 388 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 305 ნ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 256¾ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 89 ნ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 87 ნ. გაყ. |

## სია

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავადმყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

**ალადაშვილი,** ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ. ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

**გედალინი,** ალექსანდრე გიორგის ძე. 10 საათ.—11½ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ.—7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

**გეცელი,** ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ. მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

**ჯანიბეგოვი,** ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს. სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

**ელჩიევი,** მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს. მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

**ზაბლუდოვსკი,** იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—11½ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში: გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

**კასუმოვი,** ნიკოლოოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—11½ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა № 36.

**მირზაევი,** მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.— 9 ს. კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

**საათსაზოვი,** ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს. ალექსანდროვის ქუჩა № 6.

**თათევოსიანი,** ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 6 ს.—8 საათ. საღამოთი სახლში. კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

**ხატისოვი,** ნიკოლოოზ დავითისძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს. — 6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში. ბებუთოვის ქუჩა № 27.

**შახ-აზიზოვი,** არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი 7½—8½ ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

**შჩერბინინა,** ანნა ივანეს ასული. დილით 10-12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 4—6 ს სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.

---


# განცხადებანი

ქუთაისში
ს. გ. თოფურიას
**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებს სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

**„ცოდნა"-ს**
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება:

| | |
|---|---|
| რაჭა სოსიკო მერკვილაძისა | 20 კ. |
| ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით | 15 კ. |
| რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა | 10 კ. |
| სამშობლო და კაკობრიობა ი. მაჭავარიან. | 10 კ. |
| სიმღერა აკაკისა სურათით | 15 კ. |
| წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა | 5 კ. |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები | 20 კ. |
| კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა | 50 კ. |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული | 50 გ. |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა | 2 მ. 50 კ. |
| სახოკიასი რუსულ-ქართულად | 20 კ. |
| სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი | 5 კ. |
| ბაში აჩუკი აკაკისა | 30 კ. |
| ვაჭრული ჭკუა აკაკისა | 5 კ. |
| პატარა ჩონგური (დედა ენა) | 5 კ. |
| დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი, როსტ. | 5 კ. |
| ოქროუა (ხალხური ზღაპარი) | 5 კ. |
| სამი ზღაპარი | 10 კ. |
| აბრამის და იობის ლექსი | 3 კ. |
| თამარ მეფე სურათით | 5 კ. |
| სურათი თამარ მეფისა დიდი | 1—50 კ. |
| » » » პატარა | » 6 კ. |
| თხზულება ია. ეკალაძისა | 1— „ |
| ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა | „—30 კ. |
| თარგმანი იგივე რუსულად | „—50 კ. |
| დამაკვირდი, ბრძენთა აზრენი | „—50 კ. |
| მამიდა ასმათი გ. წერეთლისა | „—20 კ. |
| თავ გადასავალი აკაკისა | 1— „ „ |
| სიტყვიერების თეორია ე. კ. | 1— „ „ |
| გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი | 1—80 კ. |
| დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი | 1— „ „ |
| ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ. | 9— „ „ |
| ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით | 3— „ „ |
| ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტინიკ. | „—60 კ. |
| ანტონ კათალიკოზ. ქართ. ღრამატიკა | 1— „ კ. |
| ვახუშტის გეოგრაფია | 2— „ „ |
| ისტორ. საბუთები შიო მღვიმის მონასტრ | „—50 კ. |
| ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული. | „—60 კ. |
| მზა მეტყველება ანტონ კათალიკოზისა. | 2— „ „ |
| დავით გურამიშვილი | 1— „ „ |
| ქართლის ცხოვრება I, II და III. | 1—80 „ |
| Вступл. Грузіи въ сос. Рос. Имп. | „—40 к. |
| Исторія Грузинск. церк. Е. К. | 2 р. „ „ |
| კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა | 1— „ „ |
| ამირან-დარეჯანიანი | 1— „ „ |
| ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის | 1— „ „ |
| რამას განდევნა ალ. ს—შლისა. | „—40 კ. |

თხზულებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟაფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

| | |
|---|---|
| საქართველოს დიდება, საბინისასა. | 1—20 კ. |
| სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო. | „—5 კ. |

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА".

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

---

# ოდესელი ოსტატი

იღებს ხვადასხვა **სატოკრო** საქმეს.

ამზადებს ჩოხის საუკეთესო მასრებს სპილოს ძვლისაგან იაფად, აგრეთვე იღებს შესაკეთებლად და პირის გადასაკვრელად ქოლგებს. ოქრომჭედლების რიგი, სახლი გერმანისა, № 25.

ოსტატი ივანე იანთაშვილი.

Одесскій токарный

# МАСТЕРЪ

**принимаетъ разные токарные заказы**

Приготовляетъ всѣ наилучшіе газири изъ слоновой кости.

Починяетъ и покрываетъ зонтики

Серебряный рядъ, № 25, домъ Германа.

(6—6). *Иванъ Янташвили.*

---

## ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.

სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

**ადრესი:** ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დამ 9 საათამდის, კვირაუქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

(14—266—14). ალ. გ. საათაშვილი.

---

მსწრაფლ მბეჭდავი

# სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებულიყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომი.

---

ს.-პეტერბურგის კომპანია

# „ნადეჟდა"

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირ. ის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| ძირითადი თანხა | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო თანხ | 2.664.808 მან. |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ორხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილის, გემთა, აარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაცი:ს აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)




Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи